გაზეთი გამოდის
1930 წლის
5 ნოემბრიდან

samtredlismacne @ gmall.com

# სამტრედიის მაცნე

№3 (9380) 15 თებერვალი. 2023 წელი ფასი 75 თეთრი



განახლებული დარბაზი, საკრებულოს მორიგი სხდომა — 2

სკოლებში სამედიცინო კაბინეტები ეწყობა — 3

"დავითობა" სამტრედიაში — 4





დავით ბახტაძე: "ქსელების რეაბილიტაციის საკითხში ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა" — 2

8900 000 ლარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ — 2

უქმეებზე ნაწერი სტრიქონები, ანუ ხვალისას ზეგ მოგახსენებთ — 4

ვის უნდა სკოლის დირექტორობა — 6



ოქროსა და ვერცხლის მედლები 2020-2021 წლის კურსდამთავრებულებს გადაეცათ — 3

"დავით მეფე ღმერთს უყვარდა!.." — 5







# 8900 000 ლარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ

ნინო ნანიტაშვილი

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ სამუშაო თათბირზე მოადგილეებისგან და მუნიციპალიტეტების პირველი პირებისგან მიმდინარე პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა. როგორც ზვიად შალამბერიძემ აღნიშნა, რეგიონში, 2023 წელს, მოსახლეობაზე ორიენტირებული გაცილებით მეტი პროექტი უნდა განხორციელდეს. ხელმძღვანელ პირებს მოუწოდა, თითოეულ პროექტს მაქსიმალური მონიტორინგი გაუწიონ.

გუბერნატორი დაინტერესდა იანვარში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობით. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში აქტიური სამუშაოები ხორციელდება და უახლოეს პერიოდში სრულად აღდგება ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურა. როგორც ცნობილია, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, იმერეთის რეგიონში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, 8 900 000 ლარი გამოიყო.

შეხვედრაზე პროგრამა "განახლებული რეგიონების" მიმდინარეობის პროცესი განიხილეს. იმერეთში უკვე დასრულდა პროგრამის პირველი ეტაპით გათვალისწინებული პირველი ფაზის სამუშაოები. აღნიშნული პროგრამა 2023 წელსაც განხორციელდება. სახელმწიფო რწმუნებულმა დეტალურად ისაუბრა ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პროექტებზე, მათ შორის ყურადღება გაამახვილა საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, როგორც სკოლების, ასევე, საბავშვო ბაღების მიმართულებით.

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე, ასევე იქნა მოსმენილი ააიპ "იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის" 2022 წლის ანგარიში და სამომავლო გეგმები. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, მარი დევიძემ აღნიშნა, DMO იმერეთის მიმავალი წლის გეგმებშია: საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე პოზიციონირება, ინფო-ტურებისა და სატრენინგო პროგრამების ორგანიზება, იმერეთის საიმიჯო ვიდეორგოლისა და ტრადიციული რეწვის შესახებ მინი-ფილმების გადაღება. იმერული ღვინის ლაბორატორიის შექმნა, კონკურსის ჩატარება, ღვინის გზამკვლევის გაკეთება. ასევე, დაგეგმილია სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების გამართვა, რომლებიც ორიენტირებული იქნება რეგიონში ტურიზმის განვითარებაზე.



# განახლებული დარბაზი, საკრებულოს მორიგი სხდომა

ლევან ბაბუხადია

მორიგი სხდომა გაიმართა 6 თებერვალს მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელსაც ტრადიციულად ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა. სხდომის დასაწყისში საკრებულოს თავმჯდომარემ მადლობა მოახსენა მუნიციპალიტეტის მერს და ადმინისტრაციულ სამსახურს, რათა გარკვეულ ხანს საკრებულოს დარბაზში, სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, საკრებულოს სხდომები მერიის დარბაზში მიმდინარეობდა.

შესრულდა სახელმწიფო ჰიმნი, განახლებულ დარბაზში გასულ წელს შესრულებულ სამუშაოების თაობაზე ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ბახტაძემ გააკეთა. მანვე აღნიშნა, რომ მის ვრცელ ანგარიშს უახლოეს სხდომაზე მოისმენთ, როცა მერი საკრებულოს წარადგენს ანგარიშს.

წარმოდგენილ საკითხთა ირგვლივ მომხსენებლები საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიების თავმჯდომარეები მერაბ ულრულიძე და მანანა ხარბილაძე იყვნენ.

ოპოზიციონერმა დეპუტატმა აკაკი მინაშვილმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა მისი პოზიცია კომუნალური გაერთიანების მუშაკების მიმართ და დასვა საკითხი, გაიზარდოს გაერთიანების მუშა-პერსონალის ხელფასი, რათა მუშაობის დაწყებიდან 3-4 თვეში არ მოხდეს მათ მიერ სამუშაოს მიტოვების ფაქტები. ძლიერი ქარისგან მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა პრემიალური წახალისების აუცილებლობას გაუსვა ხაზი კიდევ ერთმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა გოჩა ჯულაყიძემ.

დამტკიცდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც, როგორც თავმჯდომარემ აღნიშნა, ფრაქცია-კომისიათა აქტიური ჩართულობის შემდეგ შემუშავდა.

განახლებულ დარბაზში გაუმჯობესებული ტექნიკური ბაზით მუშაობას ვუსურვებთ მეხუთე მოწვევის საკრებულოს.

პ.ს. გვქონდა მოლოდინი, დარბაზში ერთი მოკრძალებული მაგიდა მაინც დაიდგმებოდა მედიისთვის, სამუშაოდ მისულები ქორისუფალივით გულხელდაკრეფილები რომ არ ვისხდეთ ჟურნალისტები, მით უფრო, რომ ვიცით, არსებობს პრეცედენტი, როცა მანდატურებისათვის, მედიისათვის შესაბამისი ადგილებია მიჩენილი წარმომადგენლობით ორგანოებში.

# დავით ბახტაძე: "ქსელების რეაბილიტაციის საკითხში ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა"

ნინო ნანიტაშვილი



6 თებერვალს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის, დავით ბახტაძის კაბინეტში სამუშაო შეხვედრა გაიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგებისა და საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენლებს შორის. შეხვედრაზე მხარეებმა სამტრედიაში კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტის განხორციელებაზე იმსჯელეს.

იმერეთის მუნიციპალიტეტში, კერძოდ, ქალაქებში: სამტრედიაში, ვანსა და ბაღდათში განახლებული კომუნალური ინფრასტრუქტურა მოეწყობა.

პროექტის მიხედვით, აღნიშნულ ქალაქებში დაგეგმილია თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი წყალმომარაგების ქსელების მშენებლობა-რეაბილიტაცია. ასევე, გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით, იგეგმება წყალარინების ქსელებისა და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა.

გარდა წყალმომარაგების მასშტაბური სამუშაოებისა, პროექტი სანიაღვრე სისტემების გაუმჯობესებასაც ითვალისწინებს.

აღნიშნული სამუშაოების განხორციელების შედეგად, იმერეთის მუნიციპალიტეტების სამივე ქალაქში საერთაშორისო სტანდარტებისა და ხარისხის შესაბამისი 24 საათიანი წყალმომარაგება და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ეკოლოგიურ მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებს.

პროექტი გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და სამუშაოებისთვის, დაახლოებით, 100 მილიონი ევროა განსაზღვრული.

"ათეულობით წლის განმავლობაში სამტრედიის მუნიციპალიტეტში მწვავე პრობლემად დგას წყალარინების ქსელების რეაბილიტაციის საკითხი. უკვე ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა პროექტის განხორციელების მიზნით, რათა სამომავლოდ განხორციელდეს წარმატებული პროექტი მუნიციპალიტეტში კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით." – განაცხადა "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ბახტაძემ.

# სკოლებში სამედიცინო კაბინეტები ეწყობა

ნინო ნანიტაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, განათლებისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი გადაწყვეტილებით საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სკოლებში სამედიცინო მომსახურების სფეროს (კაბინეტი, პუნქტი) ფუნქციონირებისთვის სარემონტო სამუშაოები დაიწყო. აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს სამტრედიის მუნიციპალიტეტის რამდენიმე საჯარო სკოლაში.

3 თებერვლის მდგომარეობით საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი და ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციური კადრი, პერსონალის სტანდარტით შერჩეული. ესენია: მე-3, მე-7, მე-11, დიდი ჯიხაიშის №1, ნაბაკევის საჯარო სკოლები, რომლებმაც დიდი დახმარება გაუწიეს პანდემიის დროს თავიანთ სკოლებს. ამ რიცხვს მიემატება 18 საჯარო სკოლაში სამედიცინო კაბინეტი. თანხა გამოყოფილია განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ ამ საჭიროების დაწესებულებებზე უკვე მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები.

"ძალიან კარგი პროცესი მიმდინარეობს ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, ვგულისხმობ, სამედიცინო კაბინეტების მოწყობას. პანდემიის პერიოდმა სკოლებში სამედიცინო პერსონალის აუცილებლობაში დაგვარწმუნა. ცალკეულ სკოლებში მოსწავლეთა თანაფარდობა განსაზღვრავს სამედიცინო პერსონალის რაოდენობას. თუ სკოლაში 50-მდე მოსწავლეა, სკოლას ერთი ექთანი ეყოლება. 50-დან 500 მოსწავლის ნაკადზე 1 ექიმი. ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში კი ამ დროს დასაშვებია, ექიმი ჩაანაცვლოს ექთანმა. 500-დან 800-ის ნაკადით განსაზღვრულია როგორც ექიმი, ასევე ექთანი, ხოლო 800-ზე მეტი მოსწავლის შემთხვევაში გათვალისწინებულია 2 ექიმი". – "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში განაცხადა საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, თინათინ ხარძიანმა.

# ოქროსა და ვერცხლის მედლები 2020-2021 წლის კურსდამთავრებულებს გადაეცათ

ნინო ნანიტაშვილი

2 თებერვალს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ხელოვნების დარბაზში ოქროსა და ვერცხლის მედლები 2020-2021 სასწავლო წლის წარჩინებულ კურსდამთავრებულებს გადაეცათ.

შეხვედრა, რომელსაც მედალოსნებთან ერთად მშობლები, ოჯახის წევრები და სკოლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა გახსნა.

თინათინ ხარძიანი მიესალმა შეკრებილ საზოგადოებას, მიულოცა ახალგაზრდებს 12 წლის განმავლობაში მიღებული განათლების შემაჯამებელი ჯილდო.

ოქროსა და ვერცხლის მედლების გადაცემის ცერემონიას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ბახტაძემ ახალგაზრდებს სკოლის კედლებში მოპოვებული წარმატება მიულოცა, განსაკუთრებით გამოყო საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მშობლების როლი.

სამტრედიას 2020-2021 წლებში 92 ოქროსა და 20 ვერცხლის მედლის მფლობელი კურსდამთავრებული ჰყავდა. ყველაზე მეტი ოქროსმედალოსანი კი, მე-11 საჯარო სკოლისაა.

წარმატებულ კურსდამთავრებულებს მედლები გადასცეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბახტაძემ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი მელაშვილმა.



მედლებისა და სერტიფიკატების გადაცემას სტუდენტთა უმრავლესობა საპატიო მიზეზით ვერ დაესწრო. მათი ჯილდოები ოჯახის წევრებმა მიიღეს.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, თინათინ ხარძიანმა განსაკუთრებით გამოყო რამდენიმე მედალოსანი, რომლებმაც მშობლიური სკოლები თავის დროზე სასკოლო ოლიმპიადებში გამარჯვებებით ასახელეს. ზოგიერთი მათგანი ამჟამად გაცვლითი პროგრამით სწავლას საზღვარგარეთ უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებს. ასეთებად დასახელდნენ: სასკოლო ოლიმპიადაში გამარჯვებული და საქართველოს მასშტაბით პირველი ადგილის მფლობელი ქართულ ენასა და ლიტერატურაში მე-11 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, ელენე კიწმარიშვილი,ჯიპას უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, ელენე ბოხუა, რომელიც ამჟამად გაცვლითი პროგრამით საფრანგეთის კლერმონ ოვერნის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტია, პროექტ "წიგნის თარო" გამარჯვებულები მეორე საჯარო სკოლიდან საბაართქმელაძე და თემურ გურაძე.

"დღევანდელი დღე გამორჩეულია მუნიციპალიტეტისთვის, რადგან გვაქვს პატივი სახელმწიფოს მიერ დაწესებული წამახალისებელი ჯილდო გადავცეთ ჩვენი მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლების კურსდამთავრებულებს. ამ მიზეზით კიდევ ერთხელ მოგვეცა მათთან და მათი ოჯახის ახლობლებთან შეხვედრის ბედნიერება. დღეს, ამ დარბაზში წარმოდგენილი იყო 17 საჯარო სკოლა და 2 კერძო სკოლა 112 წარჩინებული კურსდამთავრებულით, რომელთაგან 92 ოქროსა და 20 ვერცხლის მედლის მფლობელია. კიდევ ერთხელ ვულოცავ ახალგაზრდებს წარმატებას და ვუსურვებ, მათ მიერ არჩეულ დარგებში საუკეთესო სპეციალისტებად ჩამოყალიბებულები დაუბრუნდნენ მშობლიურ სამტრედიას."







# ზაზა ადეიშვილი:

## "ხაბეიშვილი რომ მარიონეტია და მის უკან..."

ნინო ნანიტაშვილი



მიუხედავად იმისა, 30 იანვრის დღის მედიის მთავარი თემა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რიგგარეშე არჩევნები იყო, უმრავლესობა ლევან ხაბეიშვილის პარტიის თავმჯდომარედ არჩევას არასერიოზულად აღიქვამდა და მათ კომენტარებში დამამცირებელი იუმორი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სერიოზული შეფასებები. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოდან" ზაზა ადეიშვილი ხაბეიშვილის გამარჯვებას ენმ-ის მარგინალიზაციის დამარცხების წინაპირობად მიიჩნევს: "ხაბეიშვილის არჩევის შემდეგ ერთი დიდი ბრეზენტის,ყველისსუნიანი დათვი და რამდენიმე წითელი ცხვირი მოიძიონ და მშვენიერი შაპიტო იქნება. ეს იუმორი, და სერიოზულად, ხაბეიშვილის არჩევით ენმ-ამ, ისედაც ყველაზე რადიკალურმა და დესტრუქციულმა ძალამ ზმა მისცა და აირჩია რადიკალიზმის და დესტრუქციის გაზრდის გზა. ჩემი აზრით, ენმ-ის მეტ-ნაკლებად ინტელექტუალური და შედარებით კონსტრუქციული ფრთა უმცირესობაში აღმოჩნდა და არაა გამორიცხული, მალე პარტიის გარეთაც აღმოჩნდება. ხაბეიშვილი რომ მარიონეტია და მის უკან, გვამებზე დაგეშილი ვანო მერაბიშვილი და ქართული ჯარის ხერხზე გამოლიოსნერებული კეზერაშვილი დგანან, ამას თავადაც არ მალავენ. ვითომდა არაფორმალური მმართველობის წინააღმდეგ მებრძოლები. საერთო ჯამში, კარგია კლოუნი ხაბეიშვილის გამარჯვება – იმედია, საბოლოოდ დასრულდება ენმ-ის მარგინალიზაციის პროცესი და ოპოზიციურ ველზე მეტი ასპარეზი მიეცემათ სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს."

# "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აქცია ადმინისტრაციული სახლის წინ

თეა ბაბუნაშვილი



"ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში" განვითარებულ სხვადასხვა მოვლენებს საზოგადოება თვალ-ყურს ადევნებს. სანამ სამტრედიის რაიონულ ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებზე, ორგანიზაციის შიგნით არსებულ საკითხებზე მოგითხრობდეთ, მოკლე ინფორმაციას მოგაწვდით რამდენიმე დღის წინ გამართული აქციის შესახებ.



პარტიის ახალმა თავმჯდომარემ, ლევან ხაბეიშვილმა,პატიმრობაში მყოფი მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერად, აქციები სხვადასხვა ქალაქებში დაანონსა. სამტრედიაში მისი ჩატარების თარიღად 10 თებერვალი დასახელდა. პარალელურად, იმ დღეს იდენტური აქციები საგარეჯოში, ახმეტაში, მარტვილსა და ქობულეთში გაიმართა.



აქცია, რომელიც ხალხმრავლობით ნამდვილად არ გამოირჩეოდა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობის წინ ჩატარდა. მას "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე მამუკა ბაბილუაშვილი უძღვებოდა. მასთან ერთად საორგანიზაციო საკითხებში იყვნენ ჩართული ადგილობრივი საკრებულოს მოქმედი წევრები ოპოზიციური პარტიის ახალგაზრდული ფრთიდან – ზაზა კიწმარიშვილი და მარიამ ბარბაქაძე. პარტიის ლიდერებიდან სამტრედიაში დავით კირკიტაძე იმყოფებოდა, რომელმაც შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა.

# „დავითობა" სამტრედიაში



საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია 8 თებერვალს წმინდანად შერაცხული მეფის, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს აღნიშნავს.

დავითობის დღესასწაულთან დაკავშირებით საზეიმო ღვთისმსახურება გაიმართა სამტრედიის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში.

2011 წლის 3 ნოემბრის წმინდა მეფის სახელზე კურთხეულ ტაძარში საგანგებო წირვა-ლოცვას 2012 წლის 8 თებერვლიდან აღავლენს მაღალყოვლადუსამღვდელოესი საბა. გამონაკლისი არც წლევანდელი წელი იყო, ეპარქიის მმართველმა სასულიერო პირებთან და მრევლთან ერთად „დავითობა" სამტრედიაში იზეიმა.

დავით აღმაშენებლის სახელს ქვეყნის გაერთიანება და აღმშენებლობა, დიდი საბრძოლო გამარჯვებები, ქვეყნის ძლიერების სიმბოლოდ ქცეული დიდგორი უკავშირდება. ის 1089 წელს 16 წლის ასაკში გამეფდა და ქვეყანას 36 წლის განმავლობაში მართავდა.

მეფე დავით მეოთხეს აღმაშენებელი ხალხმა მისი დიდი შრომისა და ღვაწლის გამო უწოდა, რომელიც მან საქართველოს გამთლიანებასა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განმტკიცებაში შეიტანა. მისი მმართველობის დროს მოხდა სახელმწიფო მართვის სტრუქტურის რეორგანიზაცია, შეიქმნა რეგულარული ჯარი, ქვეყანა დამოუკიდებელი და ძლიერი გახდა.

რეფორმატორი და უძლეველი მეფე დავითის სახელი სამტრედიის საკათედრო ტაძარს უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით მიენიჭა.

ხონისა და სამტრედიის ეპარქიის მმართველმა საზეიმო წირვის დასრულების შემდეგ თავის ქადაგებაში ერისა და ბერის წინაშე მეფე დავითის დამსახურებაზე ისაუბრა.

მეუფე საბამ ეპარქიის სახელით სოლიდარობა გამოუცხადა განსაცდელში მყოფ თურქეთისა და სირიის მოსახლეობას.

„დავითობის" დღესასწაულთან დაკავშირებით მეუფემ ტაძარში მისულ მრევლს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის საჩუქარი წმინდა სპირიდონის ფეხსაცმლის ნაწილი დაურიგა.

ნინო ნანიტაშვილი

# უქმეებზე ნაწერი სტრიქონები, ანუ ხვალისას ზეგ მოგახსენებთ

ლევან ბაბუჩავა

### მადლობა „ავერსს"

არცთუ შორეულ წარსულში სამტრედიაში რამდენიმე აფთიაქი იყო მხოლოდ და არც მოსახლეობა გახლდათ უკმაყოფილო ამ პროფილის ობიექტების სიმცირითა და იქ დასაქმებულთა მომსახურებით.

დრო შეიცვალა და ისე მოხდა, რომ სამტრედია ლამის საფთიაქო და საბანკო ქალაქად გადაიქცა. ეს



სხვა წერილის სხვა თემაა, ამჯერად კი უბრალოდ სამადლობელი გვსურს გამოვხატოთ ქალაქში, რესპუბლიკის ქუჩაზე განთავსებული „ავერსის" აფთიაქის თანამშრომელთა მისამართით.

დიახ, განსაკუთრებული სითბოთი, პატივით გვხვდებიან პაციენტებსა თუ მათი ნდობით აღჭურვილთ, უბრალოდ ყველას, განურჩევლად. ადამიანს თუ ადამიანობა არ დაუკარგავს, სიამოვნებს ღიმილიანი შეხვედრა, მშვიდი, განმარტებითი საუბარი და არა ფრაზების კორიანტელი „მერამდენედ გითხრათ?", „თქვენნაირი აქ ბევრი შემოდის, ყველას როგორ გავეცეთ პასუხი?" და ა.შ. და ა.შ.

მოკლედ, მადლობა „ავერსს".

### ვისი საქციელი შემშურდა და რატომ?

ის-ის იყო, დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრიდან გამოვედი და შინისაკენ ავიღე გეზი, როცა ერთი უჩვეულო ფაქტის მომსწრე გავხდი, შუახნის ქალბატონი ტაძრის მიმდებარედ ძაღლს ასეირნებდა ჯაჭვით, მერე დაიხარა და „უსაქციელო ცხოველის" ასარჩენები პატარა ნიჩბით აიღო და პარკში მოათავსა, აშკარა იყო, რომ ქალბატონი ოთხფეხა მეგობარს როცა ასეირნებს, პოლიეთილენის პარკსა და ნიჩაბსაც თან დაატარებს. ვერ დავფარავ გაოცება და ჩემი მადლობით ქალბატონიც გავაოცე. სხვაგვარად როგორ უნდა მოვიქცე ახლა? გაიკვირვა. ძმისშვილთან ბრძანებულა სტუმრად და...

ხელს არავისკენ ვიშვერთ, მაგრამ ნეტავ ისინიც ასე იქცეოდნენ ლუდის, ლიმონათის ქილებს, მზესუმზირისა და ა.შ. შესაფუთ მასალას პირდაპირ ქუჩებში რომ ჰყრიან და არად აგდებენ შესაბამისი სამსახურის თანამშრომელთა დღე-ღამე გასწორებულ გარჯას.

მგონი გავეცი პასუხი წერილის სათაურად გამოტანილ კითხვას.

### სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

ალბათ, არ არსებობს პლანეტაზე ჭკუათმყოფელი ადამიანი, სულით ხორცამდე რომ არ იყოს შეძრწუნებული მეზობელ უკრაინაში მიმდინარე ლამის უკვე ერთწლიანი ომით. საქართველოს მთავრობამ, 63-ვე მუნიციპალიტეტმა, კერძო და სახელმწიფო დაწესებულებებმა, რიგითმა ადამიანებმა, ბიზნესმენებმა საკუთარი დანაზოგი, სისხლი, პროდუქტები, მედიკამენტები გაუგზავნეს ბრძოლის ქარცეცხლში მყოფი უკრაინელების დასახმარებლად.

და ამ დროს, საინფორმაციო საშუალებებიდან ცნობილი ხდება, რომ უკრაინის ხელისუფლების ზოგიერთი მაღალჩინოსანი კადრულობს, გადის ადამიანობის ჩარჩოებიდან და ითვისებს იმ თანხას, დანგრეულის აღსადგენად, დაზარალებულთა დასახმარებლად რომ არის გამიზნული.

მე ვერ მოვძებნე სახელი, ამ, უფრო სწორად, იმ არაკაცს რომ დავარქვა.

საკვირველია!

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.




### თებერვალი დადგა, ხუთი წყალი ჩადგა.

წლევანდელმა ზამთარმა ძლიერი ქარით დაგვამახსოვრა თავი და ტრაგედიით, რომელმაც ახალგაზრდა კაცის, ლაშა ნადირაძის, სიცოცხლე შეიწირა. ჩვენში ბოლო ხანებში ზამთარი თებერვალში მკაცრდება, მაგრამ როგორც უთქვამთ – „თებერვალი დადგა, ხუთში წყალი ჩადგა", ანუ გაზაფხული ნელ-ნელა მოიპარება და მცენარეთა რგვისა და გასხვლის პროცესსაც ძალაში შედის. ადამიანთა გარდა არაფერი დაზარალებულა ბოლო ათწლეულებში ისე, როგორც ფლორა და ფაუნა, დედაბუნება.

გასული საუკუნის 90-იანი წლების გასაჭირისას უმოწყალოდ ჩეხეთ და ვკაფეთ ტყეები, ქარსაფარი ზოლები, არ დაგვინდეს ბუნება და მოგვეზღო კიდეც სამაგიერო – გახშირებული ძლიერი ქარებითა და წყალდიდობებით, ზვავებითა და ღვარცოფებით.

მართალია, ხსენებულ წლებში სახელმწიფომ ხალხს ალტერნატიული საწვავი ვერ შემოგვთავაზა, მაგრამ არც ჩვენს საქციელს აქვს გამართლება არასაიდან.

ღმერთის წყალობით, ამჟამად, ამერ-იმერში ბუნებრივი აირით თბება სახლები, რაშიც დიდ წილს ხელისუფლებას ვერ დავუკარგავთ, მაგრამ გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად აუცილებელია ყველა ადამიანმა, ვისაც კი ხელში ნიჩბის აღება შეუძლია, თითო ხე მაინც დავრგოთ და ჩვენი დაუდევრობა ასე გამოვისყიდოთ დედაბუნების მიმართ.

სხვა თუ არა, პატრიარქმაც ხომ იგივე მოგვიწოდა წლების წინ. ერთი მხატვრული ფილმისა არ იყოს, დღეს დარგული ცაცხვის ხეების კენწეროზე ერთ დროს ჩვენი შვილები, მათი, მათი შვილები მოექცევიან და ტკბილად მოგვიგონებენ.

### „სადაც ყიოდა მელი და ტურა, იქ გააშენეთ ჩაის კულტურა"

ასე მაშინ მღეროდნენ ჩვენში, როცა მთასა და ბარში ჩაის კულტურას აშენებდნენ, მერე ჩაი სტრატეგიულ კულტურად იქნა მიჩნეული, მეჩაიეობა საპატიო საქმე. ერის საამაყო წარმომადგენელთა ორგზის შრომის გმირი, მეჩაიე თამარ ცურცუმია და სხვები. მეჩაიეობის რაიონებში ათობით ჩაის ფაბრიკა, ხოლო ჩვენთან სამტრედიაში „საომქანიკური ქარხანა" მუშაობდა, რომელიც მარაგნაწილებით ამარაგებდა ჩაის ფაბრიკებს, ასრულებდა მოძმე ქვეყნების შეკვეთებს. ერთი სიტყვით, მეჩაიეობა სარფიანი დარგი იყო ქვეყნისა და ხალხისათვის.



90-იანი წლების განუკითხაობისას ისე როგორც მებრეშუმეობა, მეჩაიეობაც მოვიწყვიტეთ და დღეს საქართველოში, ალბათ, იმ რაოდენობის მეასედიც არ იწარმოება ჩაი, რაც წინათ, არადა სანამ ჯერ კიდევ არაა გვიან, რაკიღა ქართველი მიწა ჩინებულად ითვისებს ამ კულტურას, აუცილებელია დარგის აღორძინება. ვფიქრობთ, ამ მიმართულებიდან შემოსული თანხები ყელზე არ დააწვება არც ხალხს და არც ინვესტორთა ჯიბეზე შემდგომ ჩვენი ქვეყნის ხაზინას.

### მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს.

ხმამაღალი განაცხადი გააკეთეს წლების წინ საქართველოში, მერე ამ „ქუდის" ქვეშ პოლიტიკური ძალაც კი შეიკრიბა ნათელი იდეებითა და აზრებით, მაგრამ დღეის მდგომარეობით, საქართველოში არათუ მრეწველობა, მრეწველობის სამინისტროც კი არა გვაქვს, იგი სტრუქტურული ერთეულის სახით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაშია. ალბათ, ასე უფრო კარგია, მაგრამ რიგითი ადამიანის პოზიციიდან ისაა ცუდი, რომ ერთ დროს სარკინიგზო კვანძის სტატუსის ჩემს ქალაქში ლიანდაგებს ჟანგი რომ მოედო, ისეთივე სისხლსავსე ცხოვრებით რომ ვერ ცხოვრობს ჩემი ქალაქი, როგორც წინათ. ჯერ კიდევ სრულად რომ ვერ ვაფასებთ და ვითვისებთ ბუნების მიერ ბოძებულ სიმდიდრეს – გოგირდოვან წყალს, რომ სამტრედია ამ მხრივ წაიშალა საქართველოს საკურორტო ქალაქთა რუკიდან...

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირების გასული წლის ანგარიშებმა, რომელშიც მომავლის პერსპექტივებზეც იყო საუბარი, პირადად მე მომავლის იმედი ნამდვილად გამიჩინა...

ხვალისას ზეგ მოგახსენებთ.

# “დავით მეფე ღმერთს უყვარდა!..”





ქეთევან ზელიძე

ზამთრის სუსხიან დილას ნისლში გაეხვია გელათისკენ მიმავალი გზა. თოვს წვრილად და ფერა და ვერ დამნევია მიწას. ბალი თეთრი ნისლად მოუხურავს სამონასტრო კომპლექსსაც. კედლში ჩავუდექით წინაპართა ნატერფალებს–ასწლეულებს ითვლის ფილაქნებად დაგებული ეს ლოდები, დროს რომ ჯერაც ვერ გაუცვეთია.

ხარაჩოები აღუმართავთ ტაძარში. იქნებ, ძალიან არ დავაგვიანოთ და გადავარჩინოთ მტრისგან კი არა, წვიმისგან ხელყოფილი უნიკალური ფრესკები.

8 თებერვალია–წმინდა მეფის, დავით აღმაშენებლის, ხსენების დღე. წირვა-ლოცვა აღევლინება ტაძარში. მრევლს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ჩოხოსნები ნელ-ნელა ემატებიან.

“ფეხი დამადგით!”–უბრძანებია მეფეს. დღეს მხოლოდ მუხლს იყრიან მის საფლავზე. ჩოხოსნები ფიცს დებენ სამშობლოსა და დედა ეკლესიისთვის. რიტუალს, როგორც ყოველთვის, იმერეთის ჩოხოსანთა სადროშოს მეთაური ლევან როხვაძე უძღვება. ფიცს ჩოხოსანთა კურთხევა მოსდევს და სიხარული ჩოხოსნად ყოფნის.

წელს ამ ულამაზესმა ცერემონიალმა გელათის ტაძრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ იოსების (ბურჯანაძე) გარეშე ჩაიარა. სულ ცოტა ხნის წინ, იგი მოწამეობრივად აღესრულა... მონასტრის ეზოში ყვავილებს დაეფარა საფლავის ბორცვი. უამრავი სანთელი იწვოდა წინამძღვრის სულის საოხად. მრევლის გულწრფელი ცრემლი აღტობდა მიწას...

სინანულს ვერ ფარავდა ჩვენთან საუბარში არქიმანდრიტ იოსების გარდაცვალების გამო ლევან როხვაძე და კელიისკენ მიგვითითებდა, ჩონჩხად ქცეული ეზოში რომ ჯერ ისევ დგას.

“დღეს სხვადასხვა ქალაქიდან და რეგიონიდან ჩამოვიდნენ ჩოხოსნობის მსურველები. მათ ფიცი დადეს წმინდა მეფე დავითის საფლავზე. ვულოცავ ყველა ჩოხოსანს, ეს დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა.” – აღნიშნა მან.

“ყოველ წელს ვიკრიბებით საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების წევრები წმინდა მეფის, დავით აღმაშენებლის, ხსენების დღეს გელათის საკათედრო ტაძარში”. – ამბობს სამტრედიის ჩოხოსანთა სადროშოს მეთაური მალხაზ იანტბელიძე.–“ჩოხოსნები დავით მეფის საფლავზე მუხლმოყრილი ფიცს დებენ სამშობლოს, დედა ეკლესიისა და ქართული ტრადიციების ერთგულებასა და მსახურებაზე. სამტრედიიდან ფიცი დადო რამდენიმე ახალმა წევრმა. მათ შორის არის ჩემი შვილიც, ლაშა იანტბელიძე. რაც განსაკუთრებულად მახარებს. ჩოხოსნებმა პატივი მივაგეთ გელათის საკათედრო ტაძრის წინამძღვრის, იოსებ ბურჯანაძის ხსოვნას, დავესწარით პანაშვიდს.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ბევრი სამტრედიელი გამოთქვამს სურვილს, სადროშოში გაწევრიანდეს. დიდი იმედით და სიხარულით შევხვდებით ყველა მათგანს, რათა უფრო მძლავრად შევძლოთ ჩვენს ქალაქსა და სრულიად საქართველოში ქართული ტრადიციების აღორძინება და პოპულარიზაცია.”

“ჩოხა ჩვენთვის მხოლოდ ლამაზი სამოსი არ არის.”–გვარწმუნებს კობა ძიძიგური.–“იგი ქართველი ხალხის კულტურის, ადათ-წესებისა და სულიერების გამოხატულებაა. ჩოხაში განსხეულებულია ქართველთა ეროვნული ღირსება და ქართველი კაცისთვის (ან მანდილოსნისთვის) ის ძალზედ მნიშვნელოვანია. პირადი მაგალითით დავრწმუნდი, როცა ჩოხა მაცვია, უფრო მოწესრიგებული და ყურადღებიანი ვარ, რომ რამე ჩოხისთვის შეუფერებელი არ გავაკეთო. ჩოხის ტარება, ამავდროულად, სიამაყე და სიამოვნებაა. ყველა ქართველს მოვუწოდებ, განიცადოს ჩოხის ტარებით მიღებული უჩვეულო განცდა.”

კობა ძიძიგურის მეუღლე, თეა ტუღუში, დასძენს, რომ “ჩოხოსნობა შინაგანი მდგომარეობის გამოხატულებაა გარეგნულად და პატივისცემა იმ ადათ-წესების, რომლებიც წინაპრებმა შემოგვინახეს. ეს არის ჩემთვის პასუხისმგებლობა, რომ ვიცხოვრო ღვთისთვის სადმრთო ცხოვრების წესით, როგორც ცხოვრობდნენ ჩვენი მამა-პაპანი.”

დედასთან ერთად დავით აღმაშენებლის საფლავზე მუხლი მოიყარა, ფიცი დადო და კურთხევა მიიღო, პატარა დავით ძიძიგურმა.

ორი წელია, ჩოხოსანია მაია ჯაჯანიშვილი. მაგრამ ყოველ წელს, 8 თებერვალს დადის და სურვილი აისრულა: “საოცარია წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის საფლავზე ფიცის დადება. ორმაგად მიყვარს ჩოხოსნებისა და მათ მიერ გადაჯვარედინებულ ხანჯლებს შორის გავლა.”–გვიყვება იგი.–“ჩოხოსანი რომ გახდე, პირველ რიგში, სურვილი, ამასთან, ჩოხოსნის და მოძღვრის რეკომენდაცია და, რა თქმა უნდა, ჩოხა-ახალუხია საჭირო.ძალიან მომწონს საკუთარი თავი ნაციონალურ სამოსში, ყველამ უნდა ჩაიცვას ჩოხა, ყველამ უნდა იცხოვროს ქართული ადათისა და ტრადიციების პატივისცემით. თანამედროვეობაში ბევრი ქიდილია, მაგრამ უფალი ჩვენთანაა.”

ახლად ფიცმიღებულებს შორისაა ჩოხოსანი გელა კოპალეიშვილი, რომელმაც თავისი განწყობა ასე გაგვიზიარა: “წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გელათის ვეწვიეთ, წირვას დავესწარით და ღვთის დიდი მადლი მივიღეთ. დავით მეფის საფლავზე დავიფიცე, შევფიცე, რომ ღირსეულად ვატარებ ეროვნულ სამოსს და ვიქნები ქვეყნის ერთგული. მინდა, ჩემმა შვილებმა და შვილიშვილებმაც იცოდნენ სამშობლოს ერთგულება, სიყვარული და პატივისცემა. ბედნიერი ვარ და მიხარია, საქართველო არ კარგავს თავის სახეს და ეროვნულ ღირებულებებს. ყველა ქართველს უნდა ჰქონდეს ჩოხის ტარების სურვილი. მე ბედნიერი და კმაყოფილი ვარ დღევანდელი დღით.”

სიცოცხლის ბოლომდე დაუვიწყარი იქნება 8 თებერვალი ნუგზარ სუცუბიძისთვის. “ჩემთვის სულიერად ამაღლებული დღეა და იქნება მუდამ. ეროვნულ სამოსში გამოწყობილებმა ფიცი დავდეთ დავით აღმაშენებლის საფლავზე. ყოველთვის მომწონდა ქართული ჩოხა, რადგან ის ჩემი ქვეყნის წარსულთან, ეროვნულობასთან ასოცირდება. ჩემთვის საწმისდისა და ძლიერების გამომხატველია. ამიტომ შესაძლებლობისთანავე გავხდი სამტრედიის ჩოხოსანთა სადროშოს წევრი. მუდამ ვიქნები ქართველი ხალხის სამსახურში, ჩვენი სარწმუნოების, ეროვნული ტრადიციების და ისტორიული მემკვიდრეობის გამტრძელებელი”.–ამბობს ის.

“60 წელი სულ ახლახან შემოსრულდა. ბავშვობიდან იყო ჩემი ოცნება, ჩოხა ჩამეცვა.”–გვიოცვიან ვერ ფარავს მერაბ კოსრუაძე.–“საგრამ რატომღაც დაბრკოლებები მხვდებოდა. მადლობა ღმერთს. ერთი წლის წინ დავუკავშირდი საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების სამტრედიის ჩოხოსანთა სადროშოს წევრებს. უადრესად პატივსაცემ ადამიანებს შორის ბევრი ჩემი ნაცნობი აღმოჩნდა. გავხდი ჩოხოსანი, შევიმოსე ეროვნული სამოსით, რაც ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებს. დამერწმუნეთ, ამას სრულიად გადაჭარბების გარეშე მოგახსენებთ. ჩოხა ადამიანს სულ სხვა მოვალეობებსა და ვალდებულებებს გვაკისრებს. დაუვიწყარი იქნება ჩემთვის წლევანდელი 8 თებერვალი, დღე, რომელიც სამტრედიის სადროშოს წევრებმა გელათში აღვნიშნეთ. ჩოხებში შემოსილებმა მოვილოცეთ ტაძარში წმინდა ხატები, პატივი მივაგეთ სულ ახლახანს ტრაგიკულად გარდაცვლილი ბერი იოსების საფლავს. ტრადიციულად, წმინდა მეფის, დავით აღმაშენებლის, საფლავზე გაიმართა ფიცის დადების ცერემონიალი, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

მადლობა უფალს!

ჯანმრთელობა და დღეგრძელობა საქართველოს პატრიარქს!”

უკან დაბრუნებულებს მშვიდ შემოგვეგება სამტრედია. ამგვარი ამაღლებული დღის შემდეგ, ძნელია, იმედიანი განწყობა არ დაგეუფლოს, უკეთესზე არ იფიქრო. უკეთესზე ქვეყნის, ხალხის, ოჯახის. იმედი კი ქრისტიანებისთვის ერთ-ერთი სამი სათნოებიდან.

















# ურემი გადაბრუნდა, გზა კი... ტრაგედიის ექო

ლევან ბაბუჩავა

იანვრის მიწურულს სამტრედიაში ტრაგედია დატრიალდა, ძლიერი ქარისაგან სახურავახდილი მრავალსართულიანი კორპუსიდან ახალგაზრდა კაცი ჩამოვარდა და დაიღუპა. ვუსამძიმრებთ მის ოჯახს, ახლობლებს, საზოგადოებას და ხმამაღლა გავაჟღერებთ დიდი ხნის ნაფიქრსა და განსჯილს.

სხვა წერილის ვრცელი თემაა ტენდერები და ტენდერებში ხშირ შემთხვევაში გამარჯვებული ორგანიზაციების მიერ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი თუ უხარისხობა, რომელიც სამუშაოების დასრულებიდან მალე ხდება უვარგისი. სამწუხაროა ისიც, რომ მსგავსი ფაქტები იშვიათობას არც ჩვენს ქალაქში წარმოადგენს, მიუხედავად მაღალჩინოსანთა გაფრთხილებისა და ხარისხზე ყურადღების აქცენტებისა.

ისე სხვათაშორის, რედაქციის იმ ოთახიდან, სადაც ეს წერილი იწერება, კარგად ჩანდა, თუ როგორ ააფრიალა ქარმა ის თუნუქები და სახურავები, რომელიც ერთ-ერთ მაღლივ კორპუსზე ამ ზაფხულს გამოიცვალა!

ახლა პირადი და სხვათა უსაფრთხოება სამუშაოების მიმდინარეობისას.

წინა წლებში, ბევრი რომ წყეულს ქახის, რიგი მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები ძირითადად შაბათ-კვირას, უქმეებზე წარმოებდა. ამჯერად კი ტენდერში გამარჯვებულნი უქმეებზე ისვენებენ და სამუშაო საათებში, სამუშაო დღეებში ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, რის შედეგაც დიდია ალბათობა, ტრაგედია ან უსიამოვნო შემთხვევა მოხდეს.

როგორც იტყვიან, ნუ ერთი მხრიდან არ იჭრება და სიმართლე უნდა ითქვას: გასულ ზაფხულში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სახლის სარეაბილიტაციო სამუშაო მიმდინარეობდა, მშენებლებმა შესაბამისი პერიმეტრი გამაფრთხილებელი ნიშნებითა და შესაბამისი ლენტით შემოფარგლეს. მიუხედავად ამისა ბევრი, მათ შორის ისინიც, თავად რომ უნდა ყოფილიყვნენ სხვათათვის მაგალითის მიმცემნი, ლენტს ზემოთ სწევდნენ და აკრძალული პერიმეტრის გავლით, რისკის ფასად შედიოდნენ შენობაში. კომენტარი ზედმეტია.

ბევრს არ გავაგრძელებ.

ხსენებული ტრაგედიის შემთხვევაში რამდენად იყო დაცული უსაფრთხოების ზომები, ეს ჩემი ინტერესის სფეროს არ მიეკუთვნება, მომხდარის გამო დიდად შეწუხების მიუხედავად. ამას შესაბამისი ორგანოები დაადგენენ, მაგრამ აუცილებელია, მეტი სიფრთხილე გამოიჩინონ, როგორც საშემკვეთო ორგანიზაციათა მესვეურებმა, ისე სამუშაოთა შემსრულებლებმა, რათა მსგავსი ფაქტები იქნას თავიდან აცილებული.

კიდევ ერთხელ დიდ გულისტკივილს გამოვხატავ მომხდარის გამო. სამწუხაროა ისიც, რომ ურემი გადაბრუნდა, გზა კი...

# ვის უნდა სკოლის დირექტორობა

ნინო ნანიტაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ დირექტორობის მსურველთა სასერტიფიკაციო გამოცდა, 2020 წელს, პანდემიის გამო გადაიდო. იმ დროს დარეგისტრირებულ აპლიკანტებს წელს, 2023-ში მიეცათ საშუალება, დირექტორობის მსურველთა სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლის. მათ კიდევ ახალი მსურველები დაემატათ, რამაც გამოიწვია საგამოცდო ცენტრების გაზრდა საქართველოს მასშტაბით. ერთ-ერთ საგამოცდო ცენტრად სამტრედია მოინიშნა.

22 იანვარს სამტრედიის ქალაქის პირველ, მესამე და მე-11 საჯარო სკოლებში განთავსდა საგამოცდო ცენტრები, რომლის უზრუნველყოფას ახორციელებდა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

სამტრედიის საგამოცდო ცენტრებში მონაწილეობა უნდა მიეღო დირექტორობის 83 აპლიკანტს, ტესტირებაზე კი გამოცხადდა 49 აპლიკანტი.

“დარეგისტრირებულთაგან უმეტესობა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იყო მოქმედი პედაგოგი, რომლებმაც ამ სამი წლის განმავლობაში, როგორც საგნის პედაგოგებმა აიმაღლეს თავიანთი სტატუსი. მათ ურჩევნიათ, იყვნენ საგნის პედაგოგები, რამდენადაც საჯარო სკოლის დირექტორობა საპასუხისმგებლო თანამდებობაა და თუ პიროვნებას არ აქვს გათავისებული, როგორ მართოს სკოლა და იყოს წარმატებული მენეჯერი, ურჩევნია, ამ დიდ საქმეს არც შეეჭიდოს, როცა საქმე ეხება ჩვენი შვილების განათლებას და წარმატებულ მომავალს”. – “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში განაცხადა საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, თინათინ ხარძიანმა.

ცნობისთვის, სამტრედიაში 34 საჯარო სკოლიდან 16-ს სერტიფიცირებული დირექტორი ჰყავს, რომლებიც მხოლოდ გასაუბრება და სამეურვეო საბჭოსთან წარდგინება მოუწევთ. აღნიშნული პროცედურების ვადები ჯერ არ არის დადგენილი. ელოდებიან ტესტირების შედეგებს, რომლის შემდგომაც გაირკვევა დანარჩენი ორი ეტაპის გავლის ვადები.

# სოფიო კირთაძე: “ენისა და მეტყველების თერაპია ჩემთვის ერთ-ერთი სოციალური პროექტია”

2-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდებთან ენისა და მეტყველების თერაპიის მიმართულებით მუშაობა დაიწყო სოფიო კირთაძემ. “ბავშვებს, რომლებსაც აქვთ სირთულეები შემდეგ სფეროში: კომუნიკაციის – როდესაც ბავშვს ან მოზარდს უჭირს საკუთარი აზრებისა და ფიქრების გამოხატვა, თანატოლებთან ურთიერთობა, პირადი სურვის და ემოციების გაზიარება; რეცეპტული – რაც გულისხმობს მოსმენის და მოსმენილის გაგებას, ექსპრესიული ენის – რაც მოიცავს ცალკეული სიტყვებისა და წინადადებების წარმოებას, რამდენად შეუძლია უკვე აღქმულის გადმოცემა, რთულად გასაგებია არის საარტიკულაციო აპარატის მოტორული სირთულე. ამ ყველაფერის დაძლევაში საჭიროა სპეციალისტის შესაბამისი ვარჯიში და კონსულტაცია.

აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემები მოგვარებადია, თუ დროულად ჩაერევა სპეციალისტი, რომელსაც ამ შემთხვევაში წარმოვადგენ მე”. – ამბობს “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში სოფიო კირთაძე და იქვე ამატებს: “მეტყველების თერაპევტისთვის მნიშვნელოვანია, იყოს კარგი ფსიქოლოგი, შეეძლოს კომუნიკაცია და ჰქონდეს პედაგოგიური გამოცდილება. ვფიქრობ, ჩემს მიერ განვლილი გზა შესაძლებლობას მომცემს, ვიყო კარგი სპეციალისტი, დავეხმარო მათ, ვისაც ჩემი სამსახური დასჭირდება”.

სამტრედიაში სოფიო კირთაძეს კარგად იცნობენ, როგორც ჟურნალისტს, პედაგოგს, ახალგაზრდულ საკითხებზე აქტიურად მომუშავეს, დიდი პრაქტიკის მქონეს არასამთავრობო სექტორში.

როგორც ენისა და მეტყველების სპეციალისტი 2022 წლის ოქტომბრიდან დაკვალიფიცირდა და პრაქტიკულ საქმიანობას იმთავითვე შეუდგა.

სოფიო კირთაძის მომსახურება მოსწავლეებს შეუძლიათ მიიღონ როგორც საკუთარ ბინაზე, ასევე პედაგოგთან ოჯახში.

“მე ვთვლი, რომ ეს ჩემი ერთ-ერთი სოციალური პროექტია, რომელსაც ჩემს სფეროში ვახორციელებ, ვინაიდან დადგენილი ფასები არ არის ჩემთვის ტაბუ. ჩემთვის ანაზღაურებაზე მეტად მნიშვნელოვანია, მივიღოთ შედეგი”.

ნინო ნანიტაშვილი



# სახლიდან 3000 კილომეტრით შორს







ნინო ნანიტაშვილი

წელიწად-ნახევრის წინ შეიქმნა ჯგუფი ემიგრანტი დედებისთვის, რომელიც სხვადასხვა, მათთვის საინტერესო თემებზე ინფორმაციას აწვდის ემიგრანტ დედებს.

ჯგუფის დამფუძნებლებს შორის ორი ქალბატონია, მარიამ გოგავა და ქეთევან აბრამიშვილი, რომლებიც წარმოშობით სამტრედიელები არიან.

ჯგუფის შესახებ ტელევიზიაშიც ისაუბრეს ჯგუფის დამფუძნებლებმა ახლა კი ჩვენთან საუბარში ამბობენ, რომ ეს ჯგუფი აერთიანებს 2000 ემიგრანტ დედას. ჯგუფის საჭიროება, როგორც კომენტარებიდან ირკვევა, დიდია, სახლიდან შორს სხვადასხვა საჭირბოროტო თემებზე პასუხს დაუზარებლად წერენ და უზიარებენ დედები ერთმანეთს, ასევე, ჯგუფში ფუნქციონირებს "დედების ფონდი", რომელიც ეხმარება ემიგრანტ, უსამსახუროდ დარჩენილ ოჯახებს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო თუ ფულადი სახსრებით. ცოტა ხნის წინ სამშობლოში დაბრუნებაში დაეხმარნენ სამშვილიან ოჯახს, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო დარჩნენ მარჩენალის გარეშე, ჯგუფში ხშირად ნახავთ სამადლობელ პოსტებს ადმინისტრაციის მიმართულებით.

მარიამ გოგავა 2019 წელს რაგბისტ მეუღლესთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად პოლონეთში, თუმცა კოვიდ პანდემიის დროს მოუწია სამ ბავშვთან ერთად დაბრუნებულიყო სამშობლოში.

ქეთევანს 2018 წელს სწავლისათვის აღებული საბანკო ვალდებულებების გამო მოუწია ემიგრაციაში წასვლა, სადაც მომავალი მეუღლე გაიცნო და იქ შეეძინათ პატარა გოგონა.

მარიამ ცისკრიშვილიც უკვე 4 წელია, მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად ცხოვრობს პოლონეთში და ამბობს, რომ მთელ მის ენერგიას ხარჯავს იმაში, რომ სხვებს არ მოუწიოთ იმ ინფორმაციის ნაკლებობის გადატანა, რაც მას მოუწია. ინფორმაციის ნაკლებობაა, რის გამოც ბევრი დახმარება თუ საბუთი დაკარგეს ქართულმა ოჯახებმა პოლონეთში, თუმცა ეს სამი ქალბატონი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გაუმარტივონ ოჯახებს ემიგრაციაში ყოფნა.

ცოტა ხნის წინ ჯგუფში, ასევე შეიქმნა პოლონური ენის წრე, რაც ეხმარებათ დედებს პოლონური ენის საბაზისო ცოდნის მიღებაში რათა მათთვის უფრო მარტივი გახდეს ადაპტაცია უცხო გარემოსთან.

# ნატალია თვალავაძე – "ავერსი ფარმას" ყველაზე გამორჩეული თანამშრომელი

ნინო ნანიტაშვილი



შპს "ავერსი ფარმა" ყოველწლიურად მართავს წლის შემაჯამებელ ღონისძიებას. ამ მხრივ გამონაკლისი არც 2022 წელი აღმოჩნდა. 2023 წლის 28 იანვარს ქალაქ ქუთაისში დასავლეთ საქართველოს "ავერსი ფარმას" ქსელის თანამშრომლები კორპორატიულ საღამოზე მიიწვია, სადაც იმართება ტრადიციულად დაჯილდოვება.

"ავერსი ფარმას" სააფთიაქო ქსელის დირექტორმა ეკატერინე ბურძენიძემ საუკეთესო გამგის ნომინანტები დაასახელა. გამარჯვებულთა შორის არის სამტრედიის №2 აფთიაქის მენეჯერი, ნატალია თვალავაძე; წლის საუკეთესო გამგე დაჯილდოვდა ევროპაში მოგზაურობით.

ნატალია თვალავაძე სამტრედიელებისთვის კარგად ნაცნობი ახალგაზრდა ქალბატონია, რომელმაც სააფთიაქო ქსელში საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია. იგი 18 წელია, მუშაობს "ავერსი ფარმაში". თავდაპირველად იყო ფარმაცევტი. 2009 წლიდან იკავებს მენეჯერის პოზიციას. აქედან მოყოლებული დღემდე ნატალია თვალავაძე, როგორც მაღალკვალიფიციური კადრი, საუკეთესო მენეჯერული თვისებებით დაჯილდოებული, სხვადასხვა წლის ნომინაციაში რამდენჯერმე არის დასახელებული, თუმცა ყველა ჯერზე უდიდეს სიხარულს და ბედნიერებას განიცდის, რადგან ამით ფასდება მისი საქმიანობა სააფთიაქო ქსელში.

"ავერსის" დამფუძნებელი, ბატონი პაატა კურტანიძე ყოველწლიურად მართავს წლის შემაჯამებელ ღონისძიებას, სადაც გამარჯვებულად ასახელებს წარმატებულ ფარმაცევტებს, მენეჯერებს, კონსულტანტებს და ქსელში მომუშავე სხვადასხვა პროფილის თანამშრომლებს, რომლებიც გამოირჩევიან იმ წლის განსაკუთრებული საქმიანობით. ხდება დაჯილდოვება სხვადასხვა ნომინაციაში, არის ფულადი პრიზები და ასევე, ყველაზე გამორჩეული თანამშრომლებისთვის მოგზაურობა ევროპაში. მადლობა მინდა, გადავუხადო "ავერსი ფარმას" ხელმძღვანელობას, ჩემს კოლეგებს, სრულიად ქსელს ჩემს მიმართ გამოხატული სიყვარულისა და მხარდაჭერისათვის". – "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში განაცხადა №2 აფთიაქის მენეჯერმა, ნატალია თვალავაძემ.



# მე-3 საჯარო სკოლაში წიგნები ხმამაღლა წაიკითხეს

ნინო ნანიტაშვილი

1-ელ თებერვალს წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე აღინიშნება. საქართველო უკვე მე-8 წელია, ჩართულია ამ ღონისძიებაში. მსოფლიოს ასამდე ქვეყნის ადამიანები ამ დღეს ერთიანდებიან საერთო სლოგანის გარშემო: "იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო!"

სამტრედიის მე-3 საჯარო სკოლაში წიგნის საჯარო კითხვის დღე სხვადასხვაგვარი აქტივობით აღინიშნა. დაწყებითი კლასის მოსწავლეებს საბავშვო ნაწარმოებები წაუკითხეს მოწვეულმა მშობლებმა, უფროსკლასელებმა და მასწავლებლებმა.

მე-10 კლასის მოსწავლეებმა კი საჯაროდ კითხვის დღე "ვეფხისტყაოსნის" ხმამაღლა წაკითხვით აღნიშნეს. დღემ საინტერესოდ და ნაყოფიერად ჩაიარა.



# ნოდარ ტაბიძემ მითხრა: "რაც უნდა კარგი ლექსი დაწერო, არ გაამაყდე!"

ნათია ნაცვლიშვილი

*პოეტი ლეილა ჯახველაძე ხაშურის მკვიდრია, სამტრედიასთან მას დიდი სიახლოვე აკავშირებს. ღრმა ქრისტიანული ხედვა უდევს საფუძვლად მის ყოველ პოეტურ სტრიქონს, ესაა უხათნოესი ქალბატონი ყოვლ შინაგანი კულტურით, ქრისტიანული თავმდაბლობით და მიხვედრილი, განუმეორებელი პოეტური ესთეტიკით. რაოდენ საამაყოა, რომ მისი ლექსის ქარავმა პირველმა დიდმა მაესტრომ, ნოდარ ტაბიძემ ამოიცნო და პოეზიის ურთულესი მწვერვალებისკენ გზა სწორედ მან დაულოცა. მას შემდეგ ხუფთა ხელით, სამშობლოს წინაპრებისეული სიყვარულით მიუყვება პოეტი პოეზიის ბილიკებს და "შეიდუერ მუზას" მსახურებს ქრისტეს მცნებების ერთგულებითა და მოყვასის სიყვარულით.*

*ამ საოცრად არაპოეტურ, მატერიაზე ორიენტირებულ დროში, ანკარა წყაროსავით მოჩაკრაკებენ ლეილა ჯახველაძის პოეტური სტრიქონები ყოველდღიურობის დაძაბულობით გაუდაბნოებული სულის დასარწყულებლად.*

*ჩვენს რუბრიკაში "ვისაც ლიტერატურა უყვარს" ქალბატონი ლეილა წიგნებსა და ლიტერატურაზე ისაუბრებს.*



**– ქალბატონო ლეილა, ვინ არის თქვენი წიგნების და თქვენი ლექსების პირველი მკითხველი?**

– მოკრძალებით, უპირველესად დიდ მადლობას მოგახსენებთ დაინტერესებისთვის და რედაქციაში მოწვევისათვის, რაც ჩემთვის დიდი პატივია.

პოეზია ჩემი სტიქიაა. მოგზაურობა ჩემი ქვეყნის უკეთ გაცნობაში მეხმარება. მაოცებს ბუნების არაერთგვაროვნება და ამაღლებულად, მისი მშვენიერება. პოეზიის სურნელით გაჯერებული, ქარვისფერი შემოდგომის ფერადი სული სახლობს ჩემში, საკუთარ თავთან განმარტოება და ხმამაღლა ფიქრი მიყვარს... საზოგადოებაში დუმილს ვამჯობინებ. პოეზიაში პარადოქსის გზას ვეძებ, უფლისმიერი სასწაულების მოლოდინის მჯერა.

ლექსი, ახლად აბაჯაგებული შვილიშვილის ატატებული ხელები და უმანკო ღიმილისდარი დიდი სიყვარულია... "ცხელ-ცხელი" ლექსი – ვერ მოვითმენია მეუღლისთვის წამიკითხავს. ღიმილით მიცქერდა, მოსწონდა და უხაროდა ხოლმე. პირველად გაზეთ "ქართლის ქრონიკის" ფურცლებზე დავიბეჭდე "ლელა ფრონელის" ფსევდონიმით. მყავს საუკეთესო მეგობარი-მკითხველები, მკითხველთა და მსმენელთა ფართო საზოგადოება, ისინი კიდევ უფრო მაძლიერებენ.

**– თქვენი პირველი წიგნის წინასიტყვაობა პროფესორ ნოდარ ტაბიძეს ეკუთვნის, როგორ შედგა თქვენი შემოქმედებითი კოლაბორაცია?**

– პოეზიის სიყვარულის მადლს ადრეული ასაკიდან ვეზიარე, ვიწერდი მრავლისმეტყველი ამბანით და ვინახავდი სიყვარულით... მჯერა, ლექსები უფლის გზა არის. მწყინდა თუ მიხაროდა, უწინ ლექსში ვასხნებოდი (უფალმა მაპატიოს). მომიმრავლდა პატარ-პატარა ლექსები... აბა, სად გაგონილა, სულს საზღვარი დაუწესო, ან ლექსი გამოამწყვდიო? ჰოდა გადმოდიოდა სულისმიერი განცდილ-ნააზრევი, ნაალვარივით კალაპოტში დაუტევარი, ოღონდ, ქარაგმულად.

რა დამავიწყებს იმ ბედნიერ საღამოს, როცა ჩემმა დამ – ლიამ (ჟურნალისტი, გაზეთ "ქართლის ქრონიკის" რედაქტორი) დამირეკა და სიტყვა-სიტყვით გადმომცა პროფესორ ნოდარ ტაბიძის ნათქვამი, – თქვენი და პოეტია, საოცარი ქარაგმა აქვს, მე ვიქნები მისი წიგნის რედაქტორიო. – ეს იყო დალოცვა, პოეზიის ძნელად სავალ აღმართზე (კვირინელივით), ხელის შეშველება.

ამ დიდებულ ადამიანს, ბატონ ნოდარს, მრავალჯერ შევხვედი, მესაუბრებოდა პოეზიის სიღრმესა და სიდიადეზე. მახსოვს, მითხრა: რაც უნდა კარგი ლექსი დაწერო, არ გაამაყდე (ვერც მოვახერხებ).

მე კი თვალებდახრილი ვუსმენდი და გულში ვფიქრობდი, როგორ გავბედე ჩემი ლექსების წვენება, მას ხომ დიდი გალაკტიონის სისხლი ედგა ძარღვებში!

2010 წელს ბატონი ნოდარ ტაბიძის რედაქტორობით დაიბეჭდა ჩემი პირველი პოეტური კრებული, სახელწოდებით "ცისკრის ქარაგმა", რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს – კალმის მონასმი განთიადის მოწევნისას, ეს ტერმინი მეათე საუკუნიდან მოდის.

2017 წელს მეორე პოეტური კრებულის "ნუგეშად ჩემდა" რამდენიმე ეგზემპლარი დავბეჭდე, რომლის რეცენზენტი გახლავთ ჩემი თანამოქალაქე, ცნობილი მწერალი და პოეტი, პროფესორი მერაბ მიქარელიძე.

**– ქალბატონო ლეილა, მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი, ბუნებრივია, უამრავ კლასიკოსს შეხვედრიხართ, რომელიმე მათგანთან ურთიერთობის საინტერესო ისტორიას გაიხსენებთ?**

– წლების მანძილზე უამრავ მწერალსა და პოეტს შევხვედრივარ, გასული წლის ზაფხულში, ნარგალში, ვაჟაობაზე ტარიელ ხარხელაურს შევხვდი, რომელიც ხაშურს მრავალჯერ სტუმრობია, ყველაზე გვიან პოეტი ბათუ დანელია გავიცანი. ბატონ ბათუს ჩემი ლექსი მოეწონა და აღნიშნა კიდეც, – გამიხარდა. მინდა გაუწყოთ ასევე სასიამოვნო სიახლე, რომ ერთი ლექსი ფრანგულ ენაზე თარგმნა საფრანგეთში მოღვაწე პოეტმა, ბაჩანა ჩიბრაძემ.

საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის მწერალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელის, პოეტის, პროფესორის, დავით ახლოურის წარდგინებით 2020 წელს გავხდი მწერალთა კავშირის წევრი, ამავე წელს ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, მაყვალა გონაშვილის მიერ გადმომეცა თამარიონის ენდალმა. მილოცული მაქვს სოფელი კონკურსში – "მიყვარხარ ხარაგაული" მონაწილეობისათვის. ჩემი ლექსები სისტემატურად იბეჭდება ლიტერატურულ ჟურნალ "ანეულში," დაიბეჭდა "ლიტერატურული სიახლეების" ქქვს ტომში, "ლექსის აკვანის" ორ ტომში, მესხეთის ლიტერატურული გაზეთის ფურცლებზე, მესხეთის ანთოლოგიაში და სხვა. ვაპირებ მესამე საავტორო კრებულის გამოცემას.

ბატონ დავით ახლოურის ინიციატივით, ახლახან მოვინახულეთ ჩვენი ქვეყნის დიდ მამულიშვილთა მშობლიური ადგილები და ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები.

სოფელ წეროვანის დევნილთა დასახლებაში ჩავიტანეთ წიგნების შემოწირულობა ბიბლიოთეკისათვის, მიხარია, რომ ამ აქციის მონაწილე ვიყავი იქვე ვინახულეთ ივანე მაჩაბლის სახელობის მუზეუმი, სამწუხაროდ, მუზეუმში ერთადერთი აგური დევს მისი უზარმაზარი სახლიდან ძლივსძლივობით გამოტანილი...

**– რა ჟანრის ლიტერატურას უფრო აქტიურად კითხულობთ?**

– ბავშვობაში დეტექტიური ჟანრის ლიტერატურა მიზიდავდა, არტურ კონან დოილის "შერლოკ ჰოლმსი" და სხვა. მარკ ტვენი ახლაც მიყვარს. ალექსანდრე დიუმა, რიჩარდ რაიტი, თეოდორ დოსტოევსკი, ონორე დე ბალზაკი, შტეფან ცვაიგი, ჟიულ ვერნი, ემილ ზოლა, შარლოტა ბრონტე და მრავალი სხვა.

**– წიგნი, რომელმაც თქვენს მსოფლმხედველობაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა**

– ქართველი მწერლების ნაწარმოებებიდან ეს არის გურამ დოჩანაშვილის "სამოსელი პირველი"

**– რომელ პოეტებს მიიჩნევთ თქვენს მარადიულ მასწავლებლებად?**

ჩემი მარადიული მასწავლებელი – ოთარ ჭილაძე შედევრებით, პროზასა თუ პოეზიაში... ლევან გოთუას ტეტრალოგია "გმირთა ვარამი", ჭაბუა ამირეჯიბის "დათა თუთაშხია", "გორა მბორგალი".

ქართველი მწერლებიდან ასევე ნოდარ დუმბაძე, რევაზ ინანიშვილი, ჯემალ ქარჩხაძე.

**– სამაგიდო წიგნი?**

– ჩემთვის მთავარი სამაგიდო წიგნი "ვეფხისტყაოსანი" გახლავთ, მხიბლავს ვაჟა-ფშაველა, ოთარ ჭილაძის ამაღლებული პოეზია! ანა, მუხრანი, ლადო, მუხრანი ...

**– უცხოელი მწერლებიდან და პოეტებიდან ვინ გხიბლავთ?**

– ვკითხულობ თარგმანებს, მიყვარს შარლ ბოდლერი, პოეზია ჩემი სულის საზრდოა.

**– თქვენს ბიბლიოთეკაზე გვიამბეთ.**

– სხვადასხვა დროს შეძენილი წიგნებით საინტერესო ბიბლიოთეკა შევქმენი, უპირატესობა კლასიკოსთა ნაწარმოებებია.

ბიბლიოთეკის ნაწილი ჩემს შვილს, ლაშას ვაჩუქე. ის ფილოლოგია და წიგნი მისთვისაც ძვირფასია.

**– რას ფიქრობთ, ბეჭდურ გამოცემას შთანთქავს ელექტრონული?**

– ვფიქრობ, ბეჭდურ გამოცემას ვერასოდეს შთანთქავს ელექტრონული, რადგან ერთ არაჩვეულებრივ დღეს ადვილად შესაძლებელია ელექტრონულის გაურკვეველ ყოფიერებაში წაშლა. ბეჭდური სიტყვა საუკუნეებს გაუძლებს, "ოჯახში წიგნი უნდა ცხოვრობდეს", წიგნში დაბეჭდილი შთამბეჭდავად რჩება მკითხველის გონებაში.

გმადლობთ, წარმატებებს და უკვდავებას ვუსურვებ თქვენს საუკუნოვან გაზეთს.

# ვინც იცის სიტყვის ფასი და ძალა...



იქ, სადაც დააბიჯებდნენ ჩვენი ქვეყნის ის შემოქმედები, რომლებზეც იდგა ქვეყნის ღირსება, ძალა, რომლითაც ხულდგმულობდა და ხულდგმულობს ერი, იქ, სადაც იციან სიტყვის ფასი და სათუთად უფრთხილდებიან თითოეულ ადამიანში დაუანებულ და განსხვავებულ სიტყვას. საქართველოს მწერალთა სახლია; სადაც ცოტა ხნის წინ პატრიოტული თემატიკის ლექსების წიგნის პრეზენტაცია შედგა სახელწოდებით – "ჩემთვის იწყება".

ამქვეყნად კეთილ ადამიანებს რა დალევს, ამბობენ, მაგრამ ბევრნი არ არიან, რადგან სიკეთის კეთება ძლიერთა ხვედრია, სუსტები კი ცუდის მიმბაძველობით სულდგმულობენ, რადგან უფრო იოლი გზაა და ამას ჯერდებიან.

პოეტი ქალბატონი ირინა ხურციძე (ლიტერატურული ფსევდონიმით "ტყეშაველი") ჟანის რაიონის მკვიდრია, წლებია, ემიგრაციაში ცხოვრობს ყოველგვარ ძალისხმევას და მატერიალურ სახსრებსაც კი, რომ გაახაროს, გააერთიანოს და უბრალოდ ერთად ყოფნის სურვილი გაუჩინოს თანამემამულე პოეტებსა თუ მწერლებს, რაც შესანიშნავად გამოსდის კიდეც.

შეგახსენებთ, რომ ქალბატონი ირინა არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ჯუმბერ ლეჟავას მეცნიერებათა საერთაშორისო მრავალპროფილიანი აკადემიის ნამდვილი წევრი. ჟანის ლიტერატურული გაერთიანება "სანინოს" ვეტერანი წევრი, შპს საზოგადოება ტყეშაველი-შემოქმედებათა გაერთიანების დირექტორი. სამი საკუთარი და რამდენიმე კრებულის თანაავტორი, ასევე ავტორი პროექტებისა "მონასტრული პროზა", "მონასტურული პოეზია" და სატრფიალო ლირიკის – "რომ არ მიყვარდე" ტომეულების, შემდგენელ-რედაქტორი, ასევე ორი სახანძლო წიგნის – "მეზების ქარავანი" და "ჩემთვის იწყება" რედაქტორი და დამფინანსებელი. გარდა ამისა, ერთგული მეუღლე, დედა და ბებია...

ქალბატონი ირინას ინიციატივითა და რედაქტორობით კიდევ ერთ ულამაზესი წიგნი (ტექნიკური რედაქტორი რუსუდან მიქნაია, გარეკანის მხატვარი ნანა წოწელია) შეიქმნა, უფაქიზესი გრძნობებით დასუნთქული. სამშობლოს ტრფიალით გაჯერებული, მრავალისმთქმელი დიზაინით, წიგნის ყდა მიანიშნებს, საქართველოს უკვდავებას – დიდი გადაშლილი მუხის ფესვებში ამოსული პატარა მუხები, სიცოცხლის გაგრძელებაა. ამ წიგნის ფურცლებიდან შემოგვცქერიან, ცვლიან და ავსებენ ერთმანეთს საუკეთესო შემოქმედნი, სტეჯის ოსტატნი, ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები.

ორმაგად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ წიგნში დაბეჭდილი 113 ავტორიდან ოთხი ჩემი თანამოქალაქეა: ქეთი ჯაში, მაყვალა ნირგაძე, სოფიო სავვარელია, თამარ დვალიშვილი და მე გალაქტიონ გიორგაძე (ხევისწვლისპირელი) – მის მიერ გამოცემული სხვადასხვა ტომეულების თანაავტორები. სოლო 39 სახატო სტუმართა შორის ქალბატონი მანანა ტოხია.

"ალბათ, ყველა ადამიანი დაფიქრებულა იმაზე, თუ რა არის ცხოვრების აზრი? იქნებ ცხოვრების აზრი სიკეთის კეთებაშია, ისეთი სიკეთის, რომელსაც არ ითვლიან, რომლის სამაგიეროსაც არ ითხოვენ, იმ წმინდა სიკეთეში, რომელიც საზოგადოების ადამაზებს და აძლიერებს".

კიდევ ერთხელ მადლობა თანაავტორთა სახელით ქალბატონ ირინას, ვუსურვებ წარმატებებს ყველა იმ ადამიანს, ვინც იცის სიტყვის ფასი და ძალა.

გალაქტიონ (გოჩიტა) გიორგაძე

# დარაბებს მიღმა გაზაფხულია მეორე სკოლაში



ნათია ნაცვლიშვილი

ამ სპექტაკლს, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს რომ დაიდგა ქართულ სცენაზე, ახალგაზრდობა ზნეობრივ ღირებულებებზე დააფიქრა და სულის კათარზისი განაცდევინა, დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. ეს ყველასთვის საყვარელი სპექტაკლი სახეცვლილი ვიხილეთ მეორე საჯარო სკოლაში. ხელოვნების პედაგოგმა, მრავალმხრივ ნიჭიერმა ქალბატონმა მარინა ფხაკაძე-დვალიშვილმა და მისმა მოსწავლეებმა იგი ინტერპრეტირებული სახით შემოგვთავაზეს. წლების წინ აქ, ამ სკოლაში ქალბატონმა მარინამ "კუკარაჩა" დადგა თავის მოსწავლეებთან ერთად, ეს უკვე მისი მეორე ნამუშევარია.

"დარაბებს მიღმა გაზაფხულია" უფროსკლასელებმა წარმოადგინეს. მთავარ როლებში: პაპუნა – პაპუნა გოგიტიძე, მარო – მარიამ ხელაძე, გიო – გიორგი დუმბაძე, ბებიის და ყვავილების გამყიდველის როლი ანი გიორგაძემ მოირგო, რომელმაც ქორეოგრაფის მისიაც შეითავსა. სიმღერას ასრულებდა ნანა კოპალეიშვილი, პატარა ბიჭის როლს კი – ანდრია ქვარახია. მეორე სკოლის კურსდამთავრებულმა, ლუკა სანიკიძემ მუსიკალური თანხლება გაუკეთა სპექტაკლს. ჟღერდა რიჩარდ კლაიდერმანის მუსიკა. ცეკვას ასრულებდნენ: ანა ხელაძე, ლიკა ნადირაძე, თამუნა ბანძავა, ანი ადეიშვილი, ანა სანიკიძე, ნინო გეგუჩაძე.

მთავარი გმირები სცენაზე არიან, ახალგაზრდული მაქსიმალიზმით, თავდაჯერებულობით, ვნებითა და ემოციებით დამუხტულნი, ლაღები და თამამები, თუმცა ამბავი სასკოლო სპექტაკლში იდნავ სახეცვლილია, მთავარ გმირს არ უწევს ჩადენილი ცოდვის გამო ცრემლების ღვრა და ტკივილიანი აღსარების წარმოთქმა. მთავარ სათქმელს – რომ მარო წყაროსავით სუფთაა და არ უნდა უღალატოს მას პაპუნამ, შეილიშვილს ბებია უბნება. ბებიას როლს კი, შესანიშნავად ასრულებს ანი გიორგაძე, მართალია, სპექტაკლზე სამუშაოდ დიდი დრო არ ჰქონიათ, მაგრამ ახალგაზრდებმა როლები კარგად მოირგეს და პუბლიკა მათ მიმართ სიყვარულითა და პატივისცემით განაწყვეს. როგორც ქალბატონმა მარინა ფხაკაძე-დვალიშვილმა გვითხრა, სულ რვაჯერ შეიკრიბნენ და ასე მცირე დროში შეძლეს მუშაობის დასრულება.

საინტერესო წარმოდგენას საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები და სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის დრამატული თეატრის რეჟისორი, ლორიტა ჯორჯიკია ესწრებოდნენ. რესურსცენტრის უფროსი თინა ხარძიანი: "ულრმესი მადლობა თეა კარტოზიას, ყველა მონაწილეს, წარმოდგენის ავტორს ასეთი სასიამოვნო სანახაობისათვის, მადლობა, რომ არ იღინებთ წარსულს და თქვენი შეხედულებებისამებრ წარმოადგინეთ სპექტაკლი, რომელიც ჩვენზე, უფროსი თაობის ადამიანებისათვის გულისამაჩუყებელი სპექტაკლი იყო, ამ წარმოდგენას უცრემლოდ ვერ უყურებ. ახალგაზრდებო, თქვენი ცხოვრება იყოს ია-ვარდით მოფენილი და დიდი სიყვარულით სავსე, თქვენს სამყაროში მუდამ გაზაფხულს ეზეიმოს! დიდი მადლობა პედაგოგიურ კოლექტივს, და, ბედნიერი ყოფილიყოს თქვენთვის 2023 წელი!

ფიხო ცხვირავაშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტი: "ბედნიერები და გახარებულები ყოფილიყავით, ძალიან გული დამწყდა, სპექტაკლი რომ დამთავრდა იმიტომ, რომ ძალიან კარგები იყავით. მადლობა თქვენს მხატვრულ ხელმძღვანელს, თქვენს მშობლებს, თემს, ძალიან კარგები იყავით!"

ლორიტა ჯორჯიკია: "ბედნიერი ვარ, დღეს თქვენ გვერდით რომ ვარ. თეატრი ჩვენი ცხოვრებაა, მახარებს თქვენი სკოლა, ასეთი მოწყურებულნი რომ არიან მოსწავლეებიც და პედაგოგებიც. შექმნან თეატრალური სანახაობა. ეს ჩვენი ქალაქისა და ქვეყნისათვის დიდი საქმეა. მოგეხსენებათ, თეატრი გვირგვინია ხელოვნების. თუ კარგი მსახიობები ვერ გამოხვალთ, კარგი მხმენელები იქნებით, მადლობა, ქალბატონო მარინე, ამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა რომ შემოიკრიბეთ თქვენს გარშემო, თქვენი სკოლის სახახელოდ ისიც მინდა ვთქვა, რომ ჩემს მიერ დადგმულ სპექტაკლში "მე ვხედავ მზეს" 15 თქვენი მოსწავლე მონაწილეობდა".

ნატო ჯამბურია, კლასის დამრიგებელი: "დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს მოსწავლეებს, ძალიან ავღელდი, ავფორიაქდი, მაგრამ ისეთი სანახაობა შემოგვთავაზეს, სიამაყით ავივსე! ძალიან კარგები იყვნენ ყველანი. მჯერა, თქვენი ბოლო ზარის ზეიმი საინტერესო იქნება."

სკოლის დირექტორმა თეა კარტოზიამ მადლობა გადაუხადა საინტერესო წარმოდგენის ყველა მონაწილეს და მხარდამჭერს და იმედი გამოთქვა, რომ მათი სკოლა, რომელიც წარმატების ლიანდაგზე დგას,არასოდეს გადმოვა ამ ლიანდაგიდან.





# წიგნი-მეგზური



ახლახან გია ბოჭორიშვილის წიგნი "ცხოვრების გზა, კაცის ნიშან-სვეტი' წავიკითხე.

დამაფიქრა...

წიგნი მოგონებათა ჟანრის პროზაულ ნაწარმოებთა ციკლს მიეკუთვნება.

ცნობილია, რომ მე-20 საუკუნის ლიტერატურაში მოგონებათა პროზაულმა ჟანრმა განსაკუთრებული მნიშვნელობა უცხოეთში გადახვეწილ ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა შემოქმედებით დაიმკვიდრა, ვინაიდან მათი ნაფიქრ-ნააზრევი საზოგადოებრივ მოვლენებთან ერთდ პირადულ განცდებთანაც იყო დაკავშირებული.

ვფიქრობ, მოგონებათა წიგნის ავტორმა ეს ჟანრი საგანგებოდ იმიტომ შეარჩია, რომ სახელოვან მამულიშვილთა გვერდით მის თანამედროვეებზეც მოეთხრო, რადგან იგი თავად იყო მოწმე და მონაწილე მათი საზოგადოებრივი თუ პირადი ცხოვრების.

საერთოდ, წიგნი "ცხოვრების გზა, კაცის ნიშან-სვეტი", სათაურიდანვე მიგვანიშნებს ერისა და ქვეყნის წინაშე მამულიშვილთა გაწეულ ღვაწლზე, მაგრამ მკითხველთა გარკვეულმა ნაწილმა შეიძლება არ გაიზიაროს ავტორის პირადი შეხედულება ამა თუ იმ ადამიანზე. ამასთან მიმართებაში ნუ დაგვავიწყდება ის, რომ ავტორის შეხედულება დოგმა როდია.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ წიგნის ავტორი იმ სენტენციიდანაც ამოდის, როგორც ნოდარ დუმბაძე ამბობდა: "ადამიანი ფრესკა არ არის, რომ ერთ სიბრტყეში უყურო, ადამიანს, როგორც ქანდაკებას, ისე უნდა შემოუარო გარშემო და იმ კუთხიდან უმზირო, რომლიდანაც ყველაზე ლამაზად იმზირება".

ეს კი თავისთავად, გია ბოჭორიშვილის მხრივ დიდი საზოგადოებრივი და ლიტერატურული მნიშვნელობის გამომხატველი პოზიციაა, რამეთუ კალმოსნის უპირველესი მოვალეობა ხომ კაცთა შორის სიყვარულისა და ჰუმანიზმის დამკვიდრებაა.

ამ წიგნისადმი მეც მაქვს ჩემი პირადი დამოკიდებულება. გასული წლის მიწურულს, როცა სამტრედიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩემი წიგნი-ალბომის "დერნის ქვების ღაღადისი"-ს წარდგენა გაიმართა, ბატონმა გია ბოჭორიშვილმა მისი წიგნი მისახსოვრა. სწორედ, ეს წიგნი დამეხმარა, მრავალწლიანი ძებნის შემდეგ, მეპოვა მიჭინდაძე არზოვ ჯიშიაშვილი, რომელმაც ჩემი წიგნი, მთავარ პერსონაჟთან ერთად უზბეკეთის მიწაზე საზვით ხელოვნებაში დიდი კულტურული მემკვიდრეობა დატოვა.

ბატონო გია, იმედია, თქვენს მოგონებათა ჟანრს კიდევ მეტი და საინტერესო ადამიანთა ცხოვრება-მოღვაწეობით შეავსებთ.

მარიამ
მარჯანიშვილი
ფილოლოგიის
დოქტორი

# უფლის ნაბოძებ საუნჯეს გაფრთხილება უნდა!

ბუნებაში, ალბათ, არაფერია ისე პირდაპირ დამოკიდებული პიროვნების ზნეობაზე, როგორც მისი ერის ბედ-იღბალი. მოქალაქის ზნეობაზე – მისი სახელმწიფოს ავ-კარგი და პირიქით. ზნეობა ის შინაგანი ძალაა, რომლის წყალობითაც პიროვნება საქციელს იწესრიგებს. ქვეყნად ვერც ერთმა ბრძენმა ვერ თქვა ზუსტად, რა არის ნამდვილი ცხოვრება, რა არის ბედნიერება და როგორია მათკენ სავალი გზები, რისი შიში აქვს ადამიანს და რა აგრძნობინებს თავისუფლებას. ამ მარადიულ თემებს დასტრიალებენ ფილოსოფოსებიც, ფსიქოლოგებიც და, მეტ წილად მწერლები. უნდა ითქვას, რომ ამ წუთისოფელში მთავარი ფენომენი ადამიანია! გონება მწარედ აღიქვამს, როდესაც სამშობლოს მოშორებით ახალგაზრდა უცხოეთში რჩება და იქ ქმნის ოჯახს.

ღმერთმა ყველას სიკეთე მისცეს, მაგრამ რა ბედი ელის საქართველოს, ვინღა გამრავლდება ჩვენს კურთხეულ მიწაზე? ნუთუ ქართველი ერი მომაკვდავი ერების სიაში უნდა შევიდეს... უახლოეს მომავალში უძველეს ქართველ ერს გადაშენება მოელის? 2014 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოში ცხოვრობს 3 მილიონ 689 ათასი ადამიანი, მათ შორის ქართველია 70 პროცენტამდე, დედაქალაქში 1200 ათასი, რაც შენარჩუნებულია ურბანიზაციის და არა დაბადების ხარჯზე. საგანგაშო მდგომარეობაა იმ მხრივ, რომ საქართველოს ტოვებს ძალიან ბევრი ადგილობრივი მკვიდრი, შემოდის კი უფრო მეტი უცხოელი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ დემოგრაფიული ბალანსი უცხო ტომელთა სასარგებლოდ შეიცვლება. მაგალითად, იმერეთში მცხოვრებთა რაოდენობა განახევრდა. რთული მდგომარეობაა ქართველთა დასახლებულ რეგიონებში. ბოლო ორი წელი საქართველოში უფრო მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე იბადება. მოვლენები სხვაგვარად ჩვენთვის არასახარბიელოდ ვითარდება. საჭიროა აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, შობადობის წახალისება 3 შვილის ყოლა ნორმად უნდა იქცეს. როგორც უკვე ჩემს ადრეულ პუბლიკაციებში ვწერდი, პრიორიტეტი უნდა გახდეს სამუშაო ადგილების შექმნა, მოსახლეობა რომ ადგილზე დამაგრდეს, ეკონომიკის ამუშავება და სწორად მართვა. მოჭარბებული ტურიზმი წალეკავს ჩვენს იდენტობას – ეთნოსს.

ამ დროისათვის წლების მანძილზე საჯილდაოდ ქცეული ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის საკითხი წლის ბოლოსთვის სრულიად შესაძლებელი გახდეს და ესა თუ ის დათქმა კონკრეტულ გარემოებად იქცეს. ერთ-ერთი პრიორიტეტი, რომელიც უცხოელ ინვესტორთა ფოკუსში მოხვდა, ანაკლიის პორტის განახლებული პროექტია, რაც აისახა დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე, საუბარი იყო იმ გეოგრაფიულ მდგომარეობაზე, შესაძლებლობებზე, რომელიც საქართველოს გააჩნია, ასევე საქართველოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ბოლო მოვლენების ფონზე, ცენტრალური დერეფნით დაინტერესება, რაც ითვალისწინებს სატრანზიტო ინფრასტრუქტურის განვითარებას. საქართველოს მთავრობა იმედოვნებს, რომ 2023 წლიდან ანაკლიაში სამშენებლო სამუშაოები და პორტის განვითარება დაიწყება. მას აქვს ძალზე დიდი პოტენციალი განვითარების და ინვესტორების დაინტერესების და სწორად წარმართული პოლიტიკა დადებით შედეგს გამოიღებს. ის, რომ სახელმწიფო 51 პროცენტს ფლობს ამ შემთხვევაში პროექტი ინვესტორებისთვის უფრო დაზღვეულია. ასევე იკვეთება, რომ გარკვეულ საკითხებს სრულად ბიზნესი მართავს და არა სახელმწიფო.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს შუადერეფნის საოპერაციო ქმედითუნარიანობისთვის მისი ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტის – რკინიგზის მოქმედება. გასათვალისწინებელია სამტრედიის, როგორც სარკინიგზო კვანძის ფუნქცია და ის, რომ სამტრედია დასავლეთ საქართველოს კარიბჭეა. რკინიგზა შუადერეფნისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. ანაკლიის საზღვაო პორტი ქართული წარმომავლობის პროექტია, რომლის ამოქმედება მრავალი სამუშაო ადგილის და მოსახლეობის ადგილზე დამაგრების და დასაქმების მომასწავებელია.

მცირე ერი სახელმწიფოს ვერ შექმნის თუ კაცობრიობის წინაშე რაიმე სამსახური არ აღასრულა. სახელმწიფოს არსებობას საერთაშორისო ფუნქცია, ისტორიული მისია სჭირდება.

გია ბოკორიშვილი

# შვილის ქარბი სიყვარული ასწლოვანი მშობლის მიმართ

ლევან ბაბუჩავა

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუკუნოვან იუბილეესთან დაკავშირებით დავიწყეთ ხუთი წლის წინ ამ სათაურით რუბრიკა, იმ უნივერსიტეტის საიუბილეოდ, დღეს რომ დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელს ატარებს (რუბრიკის სახელწოდება უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ქალბატონმა ზაირა გრიგოლიამ შემოგვთავაზა).*

*8 თებერვალს 105 წლისა ხდება დედა უნივერსიტეტი და ამჯერზე იმ დამამშვენებელი სამტრედიელის განუზომელი ღვაწლის შესახებ გვსურს გავაცნოთ მკითხველს, უნივერსიტეტის დაარსებაში რომ შეიტანა საკუთარი წვლილი და სამარადჟამოდ ჩაიწერა სამტრედიის ისტორიაში.*

ბატონი რაჟდენ ივანეს ძე ნანეიშვილი 1888 წელს დაიბადა, დერპტის (ტარტუს) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ოჯახური პირობების გამო, სამტრედიაში ბრუნდება და აქ განაგრძობს მრავალმხრივ მოღვაწეობას. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში.

1918 წელს ახალგაზრდა ექიმი სამტრედიის სანიტარიულ ექიმად ინიშნება, რაც იმ დროს დიდი მიღწევა იყო სამტრედიისათვის. რამდენიმე წელში ბატონმა რაჟდენმა ჩამოაყალიბა ჯერ ამბულატორია, ხოლო შემდეგ საავადმყოფო 30 საწოლზე. საავადმყოფოს გამგედაც თავად მუშაობდა. მომდევნო წლებში იყო საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ხოლო 1939 წლამდე, გარდაცვალებამდე სათავეში ედგა პოლიკლინიკას. ძირითადი პროფესიული საქმიანობის გარდა რაჟდენ ნანეიშვილი ფართო, მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი სათავეში ედგა დაბა სამტრედიის მუსიკალურ საზოგადოებას, მისი დიდი ძალისხმევით, 1923 წელს აქტიური სამუშაოები დაიწყო სამტრედიაში პირველი სამუსიკო სკოლის გახსნისათვის, სკოლა კი 1924 წელს გაიხსნა.

1918 წელი დაუვიწყარი, მრავალმხრივ მნიშვნელოვანი თარიღია საქართველოს ისტორიაში. ამ წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. მანამ კი, 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, საქართველოს ღირსეულ მამულიშვილთა ძალისხმევით აღსრულდა ქართველი ინტელიგენციის დიდი ხნის ოცნება – გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი. მძიმე იყო პირველი წლები უნივერსიტეტისათვის და ქვეყნის პატრიოტებიც თავსა და სახსრებს არ იშურებდნენ, რათა მხარში დადგომოდნენ, ფინანსური და მორალური მხარდაჭერა აღმოეჩინათ უნივერსიტეტის მესვეურთათვის.

იმ დროისათვის სოლიდური თანხა გაგზავნა უნივერსიტეტის ფონდში ბატონმა რაჟდენმა და ერთგვარი ვალდებულებაც აიღო, ყოველწლიურად გაეღო თანხა პირველი ქართული უნივერსიტეტისათვის. მაშინდელი პრესა სიტყვას ასხამდა ბატონი რაჟდენის მამულიშვილურ საქციელს, ისე როგორც იმ ადამიანების გარჯას, რომლებიც უნივერსიტეტისათვის ზრუნავდნენ.

დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მძლავრ სამეცნიერო საგანმანათლებლო კერას წარმოადგენს არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპაში, მისი კურსდამთავრებულები ტოლს არ უდებენ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში დაფრთიანებულ სპეციალისტებს. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში. დიახაც რომ, ერის სიამაყე უნივერსიტეტი, რომლის დაარსებიდან 105-ე წლისთავთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ, ორიოდე სიტყვით გაგვეხსენებინა ბატონი რაჟდენ ნანეიშვილი, კაცი ქველმოქმედი, საზოგადო მოღვაწე, ღირსეული ქართველი და სამტრედიელი.

დაბოლოს, რუბრიკა "შვილის ქარბი სიყვარული ასწლოვანი მშობლის მიმართ" კვლავაც გაგრძელდება, ამდენად, კვლავაც გაგაცნობთ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებსა და მოწინავე სტუდენტებს.

# ბარბარე ფირცხალაიშვილი – „კიკინებიანი სასწაული"

ნინო ნანიტაშვილი

10 წლის ბარბარე ფირცხალაიშვილი სამტრედიის მე-11 საჯარო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლეა. სოციალური ქსელის მეშვეობით ნიჭიერი გოგონა ძალიან ბევრმა გაიცნო. მის ნამუშევრებს, ბაბუა, ბექან გოგია საკუთარ ფეისბუქგვერდზე სისტემატურად ტვირთავს და კომენტარებს უყურებს, საიდანაც ვგებულობთ, რომ ბარბარე ძალიან პატარა ასაკში უკვე ჩამოყალიბებული მხატვარია.



გოგონა პირითადად კარიკატურებს ხატავს. ბევრს ეს ამბავი არ გაუკვირდება, რადგან ბარბარეს იგი გენეტიკურად მოსდგამს. მისი ბაბუა, ბექან გოგია საყოველთაოდ ცნობილი მხატვარ-კარიკატურისტია.

მან 5 წლის ასაკში აღმოაჩინა ხატვის ამ კონკრეტულ მიმდინარეობაში ბარბარეს თვითნაბადი ნიჭი.

„ბარბარე ნემსით იზრდება. ის ხშირად მხედავდა, თუ როგორ ვხატავდი, მაკვირდებოდა, მისვამდა ძალიან ბევრ კითხვას. იღებდა ამ ინფორმაციას, რაც, ზოგადად, კარიკატურის ხატვას სჭირდება. მისი არც ერთი შეკითხვა უყურადღებოდ არ დამიტოვებია, ვაძლევდი ამომწურავ რჩევებს და მითითებებს. ერთ მშვენიერ დღეს მოიტანა ჩემი კარიკატურის დახატვა, ისე რომ, მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. მაშინ ბარბარე 5 წლის იყო და ბაღში დადიოდა. ვიდრე მე მაჩვენებდა, თავის საყვარელ აღმზრდელ მასწავლებელს მარინა კაკაბაძეს აჩვენა, რომელიც აღფრთოვანებულა. მომიყვა ამბავი, რომ ბაღის პედაგოგს აღმოჩენაც კი უწოდებია მისთვის. იმ დღეს შეარქვა „კიკინებიანი სასწაული". მეც ძალიან მომეწონა ბარბარეს პირველი კარიკატურული ნამუშევარი. სოციალური ქსელის მეშვეობით გავუგზავნე ცნობილ კარიკატურისტებს, ზალიკო სულაკაურს და ნიკოლოზ კვშულარიას. ზალიკომ პირად საუბარში მითხრა, არ გამინაწყენდე, ბექან, ბარბარეს ეს კარიკატურა შენს ნამუშევრებს ერთად აღებულს სჯობიაო". ბაბუა, როცა დარწმუნდა, გოგონა მართლაც განსაკუთრებული ტალანტის მქონე იყო, მაქსიმალური მხარდაჭერა გამოუხატა, ამარაგებდა ფანქრებით, ფუნჯებით და საღებავებით და ბარბარეც თავს არ ზოგავდა.

„10 წლის ასაკში უკვე 25 სერიოზული კარიკატურა აქვს შესრულებული. მე ხშირად ვნახულობ გუგლში ბარბარეს ასაკის ბავშვების ნამუშევრებს და რა ჟანრშიც ბარბარე მუშაობს, ძალიან იშვიათობაა."

ბარბარე ფირცხალაიშვილი მთავარ კარიკატურებს ფანქრით ხატავს, რაც მართლაცდა იშვიათია დღევანდელ რეალობაში. გოგონა გაკვეთილების მომზადების შემდეგ სულ ხატავს. იღებს ცნობად სახეებს, პოლიტიკოსებს, პოპულარულ მსახიობებს, სპორტსმენებს. მისი ნამუშევრები სისტემატურად თავსდება სოციალურ ქსელში, რასაც კვალიფიციური მხატვრების, კარიკატურისტების, საზოგადოების დიდი ნაწილის პოზიტიური კომენტარები ახლავს. ყველას უკვირს, ასეთი პატარა ასაკის გოგონასგან ასეთი სიზუსტით დახატული შარჟები. „ბევრს სჯერა და ბევრის დარწმუნება მოხდება, რომ ნამდვილად ბარბარეს ნამუშევრებია. როგორ გავუწიე ჩემს შვილიშვილს დიდულ სამსახურს. არ ვკარები ნახავს, თუმცა პატარ-პატარა შტრიხების დასწავლაში რჩევებს ნამდვილად ვაძლევ", – ამბობს ბაბუა.

10 წლის ბარბარე განსაკუთრებულ ნიჭს ბაბუის დამსახურებად მიიჩნევს. ამბობს, რომ კარიკატურის დახატვა ბაბუის მომთმენლობით დაიწყო. პირველი კარიკატურაც ბექან გოგიასი იყო, პროფილში დახატული, ძალიან მოეწონეს.

ქებაც ძალიან სიამოვნებს, თუმცა ამბობს, რომ განსაკუთრებულ სიამოვნებას მხოლოდ შემოქმედებით პროცესში, კარიკატურაზე მუშაობის დროს გრძნობს. პოპულარულ ადამიანებთან ერთად ისეთების კარიკატურებსაც ხატავს, ვინც ნაკლებად ცნობილია. ესენი, ძირითადად, მისი თანაკლასელები და პედაგოგები არიან. ბარბარეს დედა მე-11 საჯარო სკოლის პედაგოგია. ლიკა გოგია შვილის პერსპექტივას ხედავს. დარწმუნებულია, რომ გოგონა ამ ჟანრში თავის სიტყვას იტყვის. „ბარბარე ძალიან დამჯერე ბავშვია, ყურადღებიანი. უყვარს კითხვა, სპორტი, ხელოვნება, თავისი მეგობრები, პედაგოგები. არის წარჩინებული მოსწავლე. თავისი კარიკატურებით ბარბარე თანატოლებსა და პედაგოგებსაც ანებივრებს. მისი კლასიდან გამოსული მასწავლებლები მაჩვენებენ კარიკატურას, რომელიც ბარბარემ ექსპრომტად, გაკვეთილზე მოუძღვნა პედაგოგებს.

მისი კლასის დამრიგებელი ემზადება ბარბარეს ნამუშევრების გამოფენის მოსაწყობად, სადაც აპირებენ ცნობილი მხატვრების მოწვევას. ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემს შვილს თავისი ინტერესის სფერო გაუჩნდა, როგორც დედამ, მინდა, ბედნიერი და წარმატებული მომავალი ვუსურვო".

ცნობილმა მხატვარ-კარიკატურისტმა გოჩა ძაგანიშვილმა საქართველოს პარლამენტის წინ ახალ გალერეაში მიიწვია ბარბარე გამოფენაზე, სადაც 50 მხატვარი მონაწილეობს.













ბექან გოგია და თამაზ ნიკურაძე 60 წლის იუბილეს ულოცავენ
ზაზა ბანძაძეს

ომარ მებუკეს და რაულ ხუხუას!

დაბადების დღეს გილოცავთ, ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახების შემწე და მფარველი. იცოცხლეთ მრავალჟამიერ!

საზოგადოება „სამტრედიელი"

იყიდება სამტრედიაში სასწრაფოდ სახლი, სოფელ ჯიქოურბანში, 1500 კვ. მეტრი. საკადასტრო კოდი 34.06.43.293.

სახლს უკან 6000 კვ. მეტრზე გაშენებული აქვს მოცვი, რასაც სასწრაფოდ ესაჭიროება მოვლა-პატრონობა. სახლი არის კაპიტალურად აშენებული ბეტონით, ფასი 32000 დოლარი. საკონტაქტო ნომერი: 598 70 70 04. ნათია.

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ზელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა მაკა პაპავა